პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მდგრადი სასურსათო სისტემის დანერგვა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით

განხორციელების ვადა: 01.12.2023 - 31.05.2026

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 000 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 153 302

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
People in Need

Funded by the European Union

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/PeopleInNeedGeorgiaPIN

პროექტის აღწერა:

პროექტი ითვალისწინებს საპილოტე სურსათის ბანკის შექმნას, სადაც შეგროვდება სურსათის ბიზნესოპერატორების მიერ შეწირული სურსათი, რომელიც სხვა შემთხვევაში გადაიყრებოდა ნაგავსაყრელებზე. აღნიშნული სურსათი დარიგდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში (იმერეთის რეგიონი) იმ მოსახლეობაზე, რომლებიც განიცდიან სასურსათო დაუცველობას. საპილოტე პროექტის ფარგლებში ნათელი გახდება ახალი კანონის სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულების შესახებ გავლენა, რომლის მიღება დაგეგმილია მიმდინარე წლის დასასრულისკენ. პროექტის მიზანია გააძლიეროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფები, სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოებები და არაფორმალური გაერთიანებები, რათა მათ უზრუნველყონ სურსათის დარიგება მოწყვლად მოსახლეობაზე. ისინი ჩართულები იქნებიან მოწყვლადი მოსახლეობის იდენტიფიკაციაში და სურსათის ბანკიდან სურსათის დარიგებაში. ასევე, ითანამშრომლებენ ადგილობრივ ფერმერებთან და მათ მიერ შეწირულ სურსათს გადასცემენ ადგილობრივ უფასო სასადილოს. აგრეთვე ისინი უზრუნველყოფენ საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას ადგილობრივ მოსახლეობასთან შეწირული სურსათის უსაფრთხოების შესახებ. ჭარბი სურსათის გადანაწილებით მოხდება სურსათის ნარჩენების შემცირება, რაც თავისთავად შეამცირებს სათბური აირების გამოყოფას. გარდა ამისა ადგილობრივ მოსახლეობაში გაიზრდება სურსათზე ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, ადგილობრივი განვითარების ჯგუფები და სამოქალაქო ორგანიზაციები გაივლიან ტრენინგებს, როგორ უნდა მოხდეს ცნობიერების ამაღლება სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შესახებ, რათა შეძლონ პოზიტიური გავლენის მოხდენა ადგილობრივ მოსახლეობაზე.

მოსალოდნელი შედეგები:

1000 სოციალურად დაუცველ ადამიანს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გაეზრდება სურსათზე ხელმისაწვდომობა პროექტის მიერ შემუშავებული სურსათის დონაციის და გადანაწილების მექანიზმის საშუალებით;
გაიზრდება იმ სურსათის ბიზნესოპერატორთა რაოდენობა, რომლებიც გარემოს სასარგებლოდ შეამცირებენ სურსათის ნარჩენების წარმოქმნას და ასევე ექნებათ შესაძლებლობა განახორციელონ ჭარბი სურსათის შეწირულობა;
საქართველოს მოქალაქეთა შორის ამაღლდება ცნობიერება სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების პრობლემის შესახებ.